პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე: საქართველოს მაგალითზე

თამარი გულედანი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

საბანკო საქმე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია მელიქიძე, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარი გულედანი, 04.05.2023.

აბსტრაქტი

უამრავი კვლევა ადასტურებს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეკონომიკის განვითარებაში, პროდუქტიულობის ამაღლებაში, ახალი სამუშაო ადგილების შექმნაში და ა.შ. მიჩნეულია, რომ განვითარებადი ქვეყნების მთავარი ამოცანა არის საინვესტიციო საქმიანობის წახალისება და მხარდაჭერა, რაც მოიაზრებს საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებას, ინვესტორებისთვის ხელსაყრელი საგადასახადო სისტემის შექმნას და სხვა საკანონმდებლო თუ ადმინისტრაციული შეზღუდვების შემცირებას. ნაშრომში განხილულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობა და მისი გავლენა მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე, ასევე განხილულია მსოფლიოში არსებული საერთაშორისო პრაქტიკა. კვლევის მეთოდოლოგია შემუშავდა კვლევის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე და ის მოიცავს შერეული სახის კვლევას, კერძოდ, ჩატარდა სამაგიდე კვლევა რომლის ფარგლებშიც განხორციელდა სამეცნიერო ლიტერატურის და სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავება, ხოლო შემდეგ ჩატარდა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევა. ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ქვეყნები ცდილობდნენ გახდნენ მეტად კონკურენტუნარიანები, იმისთვის რომ შეძლონ მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. ასევე, გამოიკვეთა ის უპირატესობები, რომელიც გააჩნია საქართველოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად, ესენია: გეოგრაფიული მდებარეობა, ბიზნესის წამოწყების და ბიზნესის რეგისტრაციის სიმარტივე, საგადასახადო პოლიტიკა და კორუფციის დაბალი დონე. ჩატარებული კვლევის შედეგად, ასევე დადგინდა, რომ საქართველოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გლობალურ ტენდენციებში უჭირავს მნიშვნელოვანი პოზიცია, რაც საერთაშორისო მასშტაბით ხელს უწყობს ინვესტორების მოზიდვას.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ინვესტიციების მოზიდვის პოლიტიკა, ეკონომიკური ზრდა.

Abstract

Numerous studies confirm that foreign direct investments play an important roel in the development of the economy, raising productivity, creating new jobs and etc. It is believed that the main task of developing countries is to encourage and support investment activities, which includes the development of investment policis, the creation of a favorable tax system for investors and the reduction of other legal or administrative restractions. The paper talks about the importance and impact of foreign direct investment on the economy of the receiving country and also discusses the international practice in the world. The research methodology was developed based on the goals and objectives of the research and it includes a mixes typ of research, in particular a desk research was conducted within the framework of which the scientific literature and statistical information were processed and then a quantitative and qualitative research was conducted.AS a result of the research conducted it was determined that countries are trying to become more competitive in order to be able to attract more FDI. Also, the advantages that Georgia has for attracting foreign direct investments were hoghlightes such as: geographical location, ease of busuness start-up, ease of business registration, tax policy and low level of corruption. As a result of the conducted research, it was also estabilished that the identity of Georgia occupies an important position in the global trends of foreign investments, which helps to attract investors on an international scale.

Key words: Georgia, foreign direct investments, investment attraction policy, economic growth.